

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

2024-2030 წლების

კვლევითი სტრატეგია



შემუშავებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

რექტორის, სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის, საერთაშორისო ურთიერთობების და განვითარების სამსახურების მიერ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებთან, ფაკულტეტებთან/სკოლებთან და სტრატეგიის დაგეგმვის სამუშაო ჯგუფთან თანაშრომლობით

2023 წელი

# ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი -----	3
მეთოდოლოგია -----	3
სტრატეგიული მიზნები და ამოცანები -----	4
სტრატეგიული მიზანი #1 -----	4
სტრატეგიული მიზანი #2 -----	6
სტრატეგიის მონიტორინგის და შეფასების პროცედურა -----	7

## შესავალი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი სტრატეგია ეფუძნება უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონს, უნივერსიტეტის წესდებას, ნორმატიულ და ადმინისტრაციულ აქტებს, უნივერსიტეტში მოქმედ რეგულაციებს და წესებს, თანხვედრაშია ზოგად საუნივერსიტეტო სტრატეგიასთან და ხელს უწყობს უნივერსიტეტის განვითარებას სამი ძირითადი მიმართულებით:

*ა) წარმატებული, მაღალი გავლენის (impact) მქონე კვლევების ხელშეწყობა;*

*ბ) რეგიონისა და ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი კვლევების ხელშეწყობა;*

*გ) საზოგადოების განვითარების მიმართ უნივერსიტეტის პასუხისმგებლობით, მათ შორის სოციალური პასუხისმგებლობით ინსპირირებული კვლევების ხელშეწყობა.*

კვლევითი სტრატეგიის საშუალებით უნივერსიტეტი აყალიბებს ხედვას, თუ როგორ გაამდიდროს უნივერსიტეტში არსებული ძლიერი სამეცნიერო მიმართულებები და მხარი დაუჭიროს მნიშვნელოვან მხარდ სფეროებს, განავითაროს ღია და პასუხისმგებლიანი კვლევის პრაქტიკები, და დანერგოს კვლევითი ინოვაციები. შედეგად შეიქმნება მაღალი ხარისხის და გავლენის (impact) კვლევითი პროდუქტი, რაც საფუძვლად დაედება უნივერსიტეტში:

- *საერთაშორისო დონის კვლევების განხორციელებისათვის საჭირო გარემოს შექმნას და შენარჩუნებას, უნივერსიტეტის აკადემიური და სამეცნიერო საზოგადოების მხარდაჭერას და მასში სტუდენტების და ახალგაზრდა მკვლევარების აქტიურ ჩართვას;*
- *კვლევის განვითარებას საქართველოში ნაკლებად განვითარებული მიმართულებებით;*
- *შესაბამისი კვლევითი თანამშრომლობის მხარდაჭერას ადგილობრივ და უცხოურ უნივერსიტეტებთან, ეროვნულ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ბიზნესთან;*
- *კვლევების პოპულარიზაციას და მეცნიერების კომუნიკაციის არხების ზრდას.*

უნივერსიტეტის კვლევითი სტრატეგია ეფუძნება უნივერსიტეტის სტრატეგიას 2024 – 2030 წლებისათვის, იზიარებს მასში დეკლარირებულ ღირებულებებს, მისიასა და ხედვას, უნივერსიტეტის პრიორიტეტებს და უმნიშვნელოვანეს მიზნებს 2024-2030 წლების განმავლობაში.

## მეთოდოლოგია

უნივერსიტეტის კვლევითი სტრატეგია მომზადდა რექტორის, სამეცნიერო კვლევების საკითხებში რექტორის კონსულტანტის და სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის სამსახურის მიერ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებთან, ფაკულტეტებთან/სკოლებთან და სტრატეგიის დაგეგმვის სამუშაო ჯგუფთან თანამშრომლობით. კვლევის სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავების პროცესში ასევე გამოყენებული იყო უნივერსიტეტის საქმიანობის შეფასების მიზნით ჩატარებული კვლევები.

ჯგუფის მუშაობის შედეგად იდენტიფიცირებულ იქნა კვლევითი პოტენციალი, გამოწვევები, მიზნები და ამოცანები და სამოქმედო გეგმაში განისაზღვრა შესაბამისი აქტივობები.

### სტრატეგიული მიზნები და ამოცანები

უნივერსიტეტის 2024-2030 წლების კვლევითი სტრატეგიის მიზანია შექმნას რეგიონში და ცენტრალურ ევროპაში წამყვანი, ძლიერი და ღია კვლევითი გარემო; მხარი დაუჭიროს უნივერსიტეტში ინტერდისციპლინურ კვლევით საქმიანობას; შეინარჩუნოს საერთაშორისო კვლევით რანჟირებებში ინსტიტუტური და სხვადასხვა დარგობრივი მაჩვენებელი; და მაქსიმალურად გაზარდოს პერსპექტიული მიმართულებების მხარდაჭერა და მაჩვენებლები.

კვლევითი სტრატეგია მისიაა გააძლიეროს ფაკულტეტების სტრატეგიები, რათა ერთობლივად შეიქმნას განვითარებაზე და წარმატებაზე ორიენტირებული სივრცე და პირობები, როგორც უნივერსიტეტის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალისთვის და სამეცნიერო ერთეულებისთვის, ასევე სტუდენტებისთვის და ახალგაზრდა მკვლევრებისთვის.

ილიაუნის კვლევის სტრატეგიაში წარმოდგენილი ხედვა წარმოადგენს უნივერსიტეტის კვლევით საქმიანობის განხორციელების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, რომლითაც უნივერსიტეტმა უნდა მიაღწიოს კვლევაში წარმატებას (Research Excellence), სოციალური გავლენის (impact), ცოდნისა და უნივერსიტეტის რეპუტაციის ზრდას, როგორც აკადემიურ საზოგადოებაში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

კვლევითი სტრატეგიის განხორციელებით უნივერსიტეტი ქმნის ხელსაყრელი გარემოს, სადაც კვლევა დაკავშირებულია სწავლებასთან და პრაქტიკასთან და სამივე უმჯობესდება ერთობლივი მუშაობით.

### სტრატეგიული მიზანი #1



2018-2023 წლების კვლევითი სტრატეგიის ფარგლებში უნივერსიტეტმა შეძლო საქართველოსა და რეგიონში წამყვან კვლევით უნივერსიტეტად ჩამოყალიბება, რაც დასტურდება

მნიშვნელოვანი ინსტიტუციური რანჟირებების ბაზებში უნივერსიტეტის მაღალი მაჩვენებლებით, მათ შორის უნივერსიტეტის ძლიერ მიმართულებების პოზიციებით. არსებული გამოცდილებით გათვალისწინებით, 2024-2030 წლებში განსაკუთრებულ ყურადღება დაეთმობა უნივერსიტეტის მრავალფეროვან კვლევით პორტფოლიოში მაღალი გავლენის (impact) მქონე და ინტერ და მულტი დისციპლინური კვლევითი აქტივობების განხორციელებას და პერსპექტიული მიმართულებების მხარდაჭერას. შესაბამისი ამოცანებით უნივერსიტეტი მხარს უჭერს საერთაშორისო დონის კვლევების განხორციელებისათვის საჭირო გარემოს შექმნას და შენარჩუნებას, მასში სტუდენტების აქტიურ ჩართვას, რაც მნიშვნელოვანია მათი აკადემიური და პროფესიული განვითარებისთვის. მიზნის ფარგლებში მნიშვნელოვანია ამოცანა სამეცნიერო-კვლევითი საზოგადოების ახალი ადამიანური რესურსებით გამდიდრება და ახალი პერსპექტივის რეალიზაცია.

#### ამოცანები:

- მკვლევარებს შორის ინტერდისციპლინური თანამშრომლობის წახალისება და ხელშეწყობა.
- კვლევით პროექტებში მრავალფეროვანი პერსპექტივების, ექსპერტიზის და რესურსების მოზიდვის მიზნით და კვლევის მდგრადობისთვის საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობა.
- განათლების, ასევე კვლევითი მიმართულებით ფართომასშტაბიან სტრატეგიულ ინსტიტუციურ პარტნიორობის განვითარება.
- სტრატეგიული სამეცნიერო კომუნიკაციის გეგმის შემუშავება, და ეფექტური კომუნიკაციის წარმოება, რაც კიდევ უფრო მეტად გააძლიერებს უნივერსიტეტის რეპუტაციას და მოიზიდავს პოტენციურ პარტნიორებს და დაფინანსებას.
- კვლევითი პროცესის, კვლევითი შედეგების და მათი სოციალური მნიშვნელობის შესახებ ცნობადობის ზრდა.
- კვლევითი ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ფართო საზოგადოებისთვის და ინდუსტრიისთვის ეფექტური გადაცემის მექანიზმების შემუშავება.
- ცოდნის გაღრმავებისა და გაზიარების მიზნით, კვლევაში სტუდენტების აქტიური ჩართვის ხელშეწყობა.

## სტრატეგიული მიზანი #2



უნივერსიტეტში კვლევითი საქმიანობის სტანდარტის ამაღლება მოითხოვს მრავალმხრივ მიდგომას, რომელიც ფოკუსირებულია სხვადასხვა ელემენტებზე, მათ შორის:

- წარმატებული კვლევის (Research Excellence) კულტურის ხელშეწყობა.
- რესურსებით უზრუნველყოფა.
- თანამშრომლობის შესაძლებლობების რეალიზაცია.

კვლევითი საქმიანობის სტანდარტის ამაღლება უნივერსიტეტის მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენს და უწყობს ხელს უნივერსიტეტის მისიის შესრულებას.

უნივერსიტეტი, თავისი მისიის ფარგლებში, ცდილობს შექმნას მიმზიდველი გარემო ახალგაზრდა მკვლევარების მოზიდვისთვის რომლებიც კვლევითი ძალისხმევით მამოძრავებელ ძალას, და ხელი შეუწყოს ქვეყნისთვის მნიშვნელოვან სფეროებში საუკეთესო პრაქტიკის დანერგვას.

კვლევით საქმიანობაში საერთაშორისო სტანდარტის დანერგვით და ამაღლებით, უნივერსიტეტის ამოცანაა შექმნას მდგრადი კვლევითი გარემო და გააუმჯობესოს უნივერსიტეტის კვლევის პროფილი საერთაშორისო დონეზე.

### ამოცანები:

- უნივერსიტეტის და კვლევითი ერთეულების ფიზიკური კვლევით ინფრასტრუქტურის მხარდაჭერა და ციფრული ეკოსისტემის გაძლიერება.
- კვლევაში ღიაობის და გამჭვირვალობის კულტურის ზრდა, რაც უზრუნველყოფილია ღია მეცნიერების და მონაცემთა მართვის პოლიტიკის დანერგვით.

- მრავალფეროვანი და ეფექტური პროფესიული მხარდაჭერის უზრუნველყოფა კვლევითი პერსონალისთვის, განსაკუთრებით დოქტორანტებისთვის და ახალგაზრდა მკვლევრებისთვის.
- ეთიკურ და პასუხისმგებლობიანი კვლევის პრაქტიკების დანერგვა.
- განსაკუთრებული შეფასების კრიტერიუმების შემუშავება კვლევითი საქმიანობის შესაფასებლად. მეტრიკა უნდა სცდებოდეს ტრადიციულ მონაცემებს და მოიცავდეს ისეთი ფაქტორებს, როგორცაა სოციალური გავლენა, ციტირებები და სწავლაში და მეცნიერებაში შეტანილი წვლილი.
- ინოვაციური ეკოსისტემის შექმნა, რომელიც მხარს უჭერს ინოვაციებს და კვლევის შედეგების პრაქტიკულ აპლიკაციებად თარგმნას.

შესაბამისი ამოცანების განხორციელებით, უნივერსიტეტი მიზნად ისახავს შექმნას საერთაშორისო ორმაგი/ერთობლივი საერთაშორისო სადოქტორო პროგრამების განვითარებისთვის კომფორტული გარემო, რითიც მოიზიდავს და აღზრდის წამყვან მეცნიერთა შემდეგი თაობას და განავითარებს კვლევის ინტერნაციონალიზაციის პროცესს, რაც ასევე მოიცავს სტუდენტების და პერსონალი მოზიდვას მთელი მსოფლიოდან.

## სტრატეგიის მონიტორინგის და შეფასების პროცედურა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კვლევითი სტრატეგიისა და 2024–2030 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება წარიმართება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულების შეფასებისა და მონიტორინგის ჯგუფის მიერ „სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების, დამტკიცების, ცვლილებების შეტანის, შეფასებისა და მონიტორინგის წესის“ თანახმად.